

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის ბრძანება N1-1/1057
2005 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტანდარტების,
ტექნიკური რეგლამენტების და მეგროლოგიის ეროვნული
სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ**

„სტანდარტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის, „გამომვითა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ვბრძანებ:

1 დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეგროლოგიის ეროვნული სააგენტოს დებულება.“

2. დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტიდან.

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ი. ჩოგოვაძე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტანდარტების, ტექნიკური
რეგლამენტების და მეგროლოგიის ეროვნული სააგენტოს
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეგროლოგიის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის "სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეგროლოგიის სფეროში საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.

2. სააგენტო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, "სტანდარტიზაციის შესახებ", "გამომვითა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

3. სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო ქონების ბაზაზე შექმნილ დაწესებულებას, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო).

4. სააგენტო დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სარგებლობს სპეციალური უფლებაუნარიანობით, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

5. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი და ბლანკი, ანგარიშები

საზინაში და ბანკში.

6. სააგენტოს იურიდიული მისამართია: 0141, საქართველო, თბილისი, ჩარგალის ქ. N67.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი სააგენტოს მიზნები და ფუნქციებია:

ა) მეგროლოგიის სფეროში:

ა.ა) მეგროლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მონაწილეობა; ამ სფეროებში დარგთაშორისი საქმიანობის კოორდინაცია;

ა.ბ) მეგროლოგიის სისტემების ჩამოყალიბება, მათი ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობა. პროდუქციის (მომსახურების) კონკურენცუნარიანობის ამაღლების, საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის და ვაჭრობის სფეროში გექნიკურ დაბრკოლებათა აღმოფხვრის ხელშეწყობა;

ა.გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოძვათა ერთიანობის უზრუნველყოფის სფეროების სრულყოფისათვის ნორმატიული ბაზის შემუშავება.

ა.დ) გამოძვის ერთეულის აღწარმოება ეგალონების საშუალებით და ერთეულების გადაცემა სანიმუშო გამომ საშუალებებზე გამოძვათა ერთიანობის უზრუნველყოფისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ა.ე) სამეცნიერო-მეთოდური საფუძვლების შემუშავება გამოძვათა ერთიანობის სახელმწიფო სისტემის განვითარებისათვის.

ა.ვ) დროისა და სიხშირის სამუშაოთა ორგანიზება და წარმართვა.

ა.ზ) გამოძვის ერთეულის ეგალონების, ნივთიერებათა და მასალათა სტანდარტული ნიმუშებისა და სტანდარტული საცნობარო მონაცემების საქმიანობის ორგანიზება და წარმართვა.

ა.თ) არსებული სახელმწიფო ეგალონების, უმაღლესი სიზუსტის დანადგარების, გამოძვათა სანიმუშო საშუალებების ექსპლუატაციის საქმიანობის ორგანიზება, წარმართვა და მათი შენახვა. ეგალონური ბაზის შექმნისა და განვითარების, სანიმუშო გამოძვათა საშუალებების (მათ შორის იმპორტის) დამოწმების, დაკალიბრების, გამოცდისა და ტიპის დამტკიცების სამუშაოთა განხორციელება მოქმედი კანონმდებლობისა შესაბამისად.

ა.ი) დაკანონებული გამომში საშუალებების ტიპის აღიარების და პირველადი დამოწმების სამუშაოების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

ა.კ) სახელმწიფო ეგალონებისა და გამოძვის სანიმუშო საშუალებების შექმნის მიზნით საკვლევი და სამეცნიერო-გექნიკური სამუშაოების შესრულება. მეგროლოგიური უზრუნველყოფის ერთიანი ნორმატიულ-გექნიკური და მეთოდური დოკუმენტაციის შემუშავება.

ა.ლ) მეგროლოგიის სფეროში წარმოქმნილი დავების შემთხვევაში საექსპერტო სამუშაოთა შესრულება.

ბ) სტანდარტებისა და გექნიკური რეგლამენტების სფეროში:

ბ.ა) სტანდარტებისა და გექნიკური რეგლამენტების რეესტრის სამუშაოების ორგანიზება და წარმართვა.

ბ.ბ) სტანდარტებისა და გექნიკური რეგლამენტების, გამოძვის საშუალებების ტიპების რეესტრის წარმოება, განახლება და საჯაროობა. საგამომცემლო საქმიანობის განხორციელება საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით (გამეთი, ჟურნალი და სხვა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ.გ) მეგროლოგიის სფეროში სტანდარტების, გექნიკური რეგლამენტების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავება.

ბ.დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება, სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბ.ე) საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე პროდუქციისა და მომსახურების უსაფრთხოების მოთხოვნებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის სამუშაოების განხორციელება;

მუხლი 3. სააგენტოს უფლებები და მოვალეობები

1. სააგენტო უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგინოს საქართველოს ინტერესები, როგორც ეროვნულმა ორგანომ, სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის, საერთაშორისო (რეგიონალურ) ორგანიზაციებში;

ბ) დადგენილი წესით დაარეგისტრიროს სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტები და დაამტკიცოს მეტროლოგიის სფეროში ნორმატიული დოკუმენტები, და აწარმოოს დაკანონებული გამზომი საშუალებების რეესტრი.

გ) დადგენილი წესით შეასრულოს მეტროლოგიური საშუალებების, ნაკეთობების, მასალების და ნივთიერებების, ლაბორატორიული კვლევა, და კომპლექსური გამოცდები. აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად ჩააგაროს პროდუქციის ლაბორატორიული გამოცდები;

დ) ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს საქმიანობა მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და ტექნიკური რეგლამენტების სფეროში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააფორმოს ხელშეკრულებები სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ცალკეულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მეტროლოგიური მომსახურების და გამოძვის საშუალებების რემონტის შესასრულებლად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ე) სახელშეკრულებო საფუძველზე: (27.02.2006 N 1-1/153)

ე.ა.) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზება გაუწიოს და ჩააგაროს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიური უზრუნველყოფის სფეროში სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების, დამატებითი პროფესიონალური მომზადების სამუშაოები, აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოსთან შეთანხმებული პროგრამებით.

ე.ბ.) გაუწიოს კონსულტაციები და საინფორმაციო მომსახურება დაინტერესებულ პირებს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის სფეროში.

ვ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დამკვეთებისაგან და საერთაშორისო საქმიანობიდან შემოსული თანხები გამოიყენოს ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად;

ზ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით შეადგინოს საშტაბო ნუსხა და განსაზღვროს მოსამსახურეთა რიცხვი, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს სპეციალისტები მუდმივ ან დროებით სამუშაოზე. შეუკვეთოს სამუშაოების გარკვეული ნაწილი სხვა ორგანიზაციებს;

თ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდის განაწილება სააგენტოს თანამშრომელთა შორის.

2. სააგენტო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება.

ბ) პასუხი აგოს მიღებული გადაწყვეტილებებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. სააგენტოს მართვა და სტრუქტურა

სააგენტოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

გენერალური დირექტორი მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს დამოუკიდებლად და პერსონალურად აგებს პასუხს სააგენტოს საქმიანობის სწორად წარმართვაზე, სარგენტოს მფლობელობაში არსებული ქონების დაცვაზე, ფულადი სახსრების მოზნობრივ ხარჯვაზე.

გენერალური დირექტორი ახორციელებს სააგენტოს მართვას და წარმოადგენს მის ინტერესებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში;

ხელმძღვანელობს სააგენტოს საქმიანობას და აწესრიგებს სააგენტოს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს სააგენტოს სახსრებს;

დ) ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით

განსაზღვრავს სააგენტოს შიდა სტრუქტურას, ამტკიცებს საშტატო ნუსხას, შრომის ანაზღაურების ფონდს და სააგენტოს შინაგანაწესს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს:

ე.ა) ნორმატიულ აქტს - ბრძანებას;

ე.ბ) ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს- განკარგულებას.

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორის მოადგილეს – მაკონტროლებელ ორგანოსთან შეთანხმებით;

ზ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამშრომლებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამტკიცებს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ი) ქმნის სააგენტოს ფილიალებს, თანამდებობაზე ნიშნავს და

თანამდებობიდან ათავისუფლებს ფილიალების ხელმძღვანელებს – მაკონტროლებელ ორგანოსთან შეთანხმებით;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობს სააგენტოს ქონებით, დებს ხელშეკრულებებს, ხსნის ანგარიშებს;

ლ) თავისი არყოფნის შემთხვევაში ნიშნავს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ პირს – განკარგულების საფუძველზე.

4. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) მეგროლოგიის ინსტიტუტი;

ბ) სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების დეპარტამენტი;

გ) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი;

დ) იურიდიული სამსახური;

ე) პერსონალის მართვის სამსახური;

ვ) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

5. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გარდა მეგროლოგიის ინსტიტუტის დირექტორისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორი.

6. მეგროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს სააგენტოს გენერალური დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

7. სააგენტოს ჰყავს გენერალური დირექტორის მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორი, მაკონტროლებელ ორგანოსთან შეთანხმებით და რომელიც ასრულებს გენერალური დირექტორის მოავალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

მუხლი 5. სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

2. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლმომიერი გადაწყვეტილება.

3. მაკონტროლებელი ორგანოს თანხმობას საჭიროებს სააგენტოს მიერ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დაგვირთვა

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა

დ) საშვებო ნაგებობებისა და ხელფასის ფონდის განსამზღვრა

ე) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” და “გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განხორციელება საჭიროებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობას.

მუხლი 6. სააგენტოს ქონება და დაფინანსება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაეცემა შესაბამისი ქონება.

2. სააგენტო მისთვის გადაცემულ ქონებას ფლობს და სარგებლობს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სააგენტოს დაფინანსების წყაროა:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შედეგად მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

4. სააგენტოს მიერ მიღებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 7. საბუღალტრო ანგარიშგება

1. სააგენტო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება და შეადგინოს ბალანსი.

2. სააგენტოს პირველი საფინანსო წელი იწყება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი უფლებაუნარიანობის წარმოშობის მომენტიდან და მთავრდება იმავე კალენდარული წლის 31 დეკემბერს. შემდეგი საფინანსო წლები ემთხვევა.

3. ყოველწლიურად, ასევე მოთხოვნისთანავე სააგენტო მაკონტროლებელ ორგანოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს.

4. სააგენტოს წლიურ ანგარიშს ამოწმებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი, რომლის სათანადო ხარჯებს ანაზღაურებს სააგენტო.

მუხლი 8. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სააგენტოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს
ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე.